საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1373 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

ბაკურიანისა და დიდი მიტარბის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე

1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ი“, „კ“, „ს“ და „ტ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს ბაკურიანისა და დიდი მიტარბის განვითარებისათვის, ამ განკარგულების დანართში წარმოდგენილი დასაგეგმარებელი ტერიტორიების საორიენტაციო საზღვრებში, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უზრუნველყონ, ხოლო ბორჯომის მუნიციპალიტეტს ეთხოვოს, ამავე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსებული დასაგეგმარებელი ტერიტორიის საზღვრებში

მდებარე უძრავი ქონების კადასტრისა და მიწათმოწყობის ერთიანი სისტემის ორგანიზება, მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემების სრულყოფის მიზნით.

პრემიერ-მინისტრი _____ გიორგი კვირიკაშვილი

დანართი